მაჭახელების გარდასახლებას აბრალებენ ადგილობრივ ბეგს სული-ბეგს, რომელიც თვითონ ადრე იყო გადასახლებული, ახლა ჩამოვიდა და არია ხალხიო.

მაჭახელების გარდა სხვა მხრიდამ კი ჯერ-ჯერობით არავინ გადასულა ოსმალეთშიო; ბევრგან ყანები დასთესეს და აქედამ სჩანსო, რომ წელს მაინც აღარ აპირებენ გადასახლებასო.

* * *

ჩვენ მივიღეთ ცნობა დ. ონიდამ (რაჭიდამ), რომ გავლილ მაისის 18-ს იქ მოუკლავს თავი მინა პეტრიაშვილს, რომელიც ადრე მასწავლებლად იყო და, რაღაც მიზეზის გამო, ჭკუიდამ შეიშალა. ამ ორის წლის წინათაც სცადა ამ ყმაწვილმა თავის მოკვლა ქუთაისის საავათმყოფოში; მაგრამ მაშინ როგორც იყო გადაარჩინეს; ახლა კი ჯიბის დანით გამოუჭრია ყელი და მკვდარი უნახავთ. მიცვალებულის სერთუკის ჯიბეში უიმედო მშობლებს უნახავთ შემდეგი ბარათი:

„ღმერთო, შენ მოჰკითხე იმ ჩემს დამღუპავთ!“

* * *

ჩვენ შევიტყეთ, რომ ქართველი მომღერალი ჭორიძე, რომელიც ათს წელიწადზე მეტია იტალიის სხვა-და-სხვა ოპერის თეატრებში მღეროდა და რომლის ქებას დრო-გამოშვებით ვკითხულობდით უცხო ქვეყნის გაზეთებში, ეს ჭორიძე ამ ჟამად ჩვენში ჩამოსულა და დროებით იმყოფებაო ქუთაისში, სადაც კონცერტის მიცემას აპირებს; შემდეგ ამავე აზრით ის აპირებს თფილისში ჩამოსვლას, აქედამ ბორჯომში, აბასთუმანში და სხვა ადგილებში მოგზაურობას.

* * *

ჩვენ მივიღეთ უკანასკნელი (№ 4) წიგნი „კავკასიის სამასწავლებლო მაზრის ცირკულიარისა“, რომელშიაც სხვათა შორის შემდეგი ამბები ამოვიკითხეთ:

დიდის მთავრის კავკასიის მთავარ მმართებლის გარდაწყვეტილებით წლევანდელის წლიდამ კავკასიის სასოფლო შკოლების ხარჯსა მოემატა კიდევ 20,000 მან., რომელთაგან 15,000 მან. ქრისტიანთა სასოფლო შკოლებზედ უნდა დაიხარჯოს და დანარჩენი 5,000 მან. მაჰმადიანთა შკოლებისათვის.

ქუთაისის პედაგოგიურ რჩევას სამასწავლებლო მაზრის მზრუნველისათვის წარუდგენია აზრი, რადგან ამ ჟამად ქუთაისში ხორაგეული ერთობ გაძვირდაო და გიმნაზიასთან გახსნილი პანსიონის შაგირდებს 200 მან. ხარჯად აღარ ჰყოფნისო, ამის გამო საჭიროაო, რომ ეს ხარჯი მოემატოს და თითო პანსიონერზე 250 მან. დანიშნოს ხაზინამაო. ამ საგნის შესახებ კავკასიის სამასწავლებლო მაზრის მზრუნველს კავკასიის მთავარ მმართებლისათვის წარუდგენია შუამდგომლობა, რომ ამ წლის 1 იელისიდამ პანსიონერს წელიწადში 250 მან. ჰქონდეს დანიშნულიო.

## წერილი რედაქტორთან

—

ბ. რედაქტორო!

თქვენს მკითხველებს მოეხსენება რა მიყრუებულს ალაგს მდებარებს დაბა საჩხერე. არც გზა გვაქვს რიგიანი, არც კვალი და განათლებაზედ ხმა ვის ამოეღება!

ჯერ მთელს მაზრაში სასწავლებელი არ არის, გარდა ყვირილის ნორმალური სასწავლებლისა (რასაკვირველია არათ ვაგდებ სოფლის სასწავლებლებს, რომელთა რიცხვი ჯერ ცოტაა და სადაც არის ისიც უხეირო) და საჩხერეში ვილა მოგვცემდა! აქაურს ხალხს თუმცა დიდი სურვილი აქვთ შვილების გაზრდისა, მაგრამ, სამწუხაროდ სასწავლებლების სიშორისა და უგზო-უკვლობის გამო ძრიელ სამძიმოთ ურჩებათ.

წარსულს წელს ერთმა ახალ-გაზდა ყმაწვილმა, დავით აბდუშელიშვილმა, გახსნა დაბა საჩხერეში „კერძო სასწავლებელი“. საჩხერელებს დიდი იმედი მიეცათ ბ. აბდუშელიშვილისა; ხედავდნენ განათლებული ყმაწვილი-კაცი იყო; იძახოდნენ: „ღმერთმა მოწყალების თვალით გარდმოხედა ჩვენს ქვეყანას; გამოგვეზარდა მამულის-შვილი, რომელსაც გული შესტკივა ჩვენის გაუზდელის შვილებისათვის“.

ბ. აბდუშელიშვილმა ითხოვა თითო ყმაწვილზედ წელიწადში საოსტატოთ ორმოც-და-ათი მანეთი, შეჰკრა პირობა და მაისში, თუ არ ვსცდები, შეუდგა ყმაწვილების სწავლებას.

სასწავლებელში მოგროვდა ოცდა-ხუთ შაგირდამდის; მსურველი მართალია, ბევრი იყო, მაგრამ ორი საქმე უშლიდა ხელსა: ერთი სასწავლებლის სიშორე და მეორე—ჯერ არ იცოდნენ, როგორ იბეჯითებდა ბ. აბდუშელიშვილი. მაგრამ მალე მტერი მოგიკვდეს, მალე ამ სასწავლებელს დღე მოუსწრაფდა. წრეულს იანვრიდგან მასწავლებელი სადღაც მიგვემალა; ყმაწვილებს ჯერ ეგონათ, საცაა ოსტატი გაჩნდებაო, მაგრამ გავიდა კვირა, თვე; მასწავლებელი არ გაჩნდა; ის წაბრძანებულიყო თბილისში, უნდოდა, თურმე „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოე-

---

„ყობოდა რომ უცხო ქვეყნელი იყო
„და პირველი იყო მისგან საჯაროდ
„ლაპარაკი. საზოგადოებამ დიდის სია-
„მოვნებით მიიღო ეს ქალი.“

* * *

როგორღაც არა მჯერა მე ამ ქალის ნალაპარაკევი დიდოელებზედ. ურიგო არ იქნება დიდოში გაიგზავნოს ამ საქმის გამოსაკვლევად ახლად გამოჩენილი მწერალი და მეცნიერი ბ. დიმ. ფურცელაძე, ცენზორათ ნამყოფი, რომელმაც ამ ბოლოს დროს ასეთი მახვილი კალამი და გამჭრიახი ჭკუა გამოიჩინა და ასე ჩინებულათ განმარტა ქართული საეკკლესიო გუჯრები.

აქამდის ეს პატივცემული მეცნიერი ფელტონებში განამარტებდა ამ გუჯრებს და წინა-კვირას რუსულს გაზეთს „ობზორში“ მოწინავე სტატიის ალაგი დაიჭირა.

გადავიკითხე ეს სტატია და შევძრწუნდი. მასშია განმარტებული დადგენილება საეკკლესიო კრებისა, რომელიც მოხდა დავით აღმაშენებელის დროს. კრებას დაუწესებია სიკვდილით დასჯა იმ პირთა, რომელნიც კი იმ საზიზღარს ცოდვას ჩაიდენენ... მაგრამ აღარ გავაგრძელებ; მაინცა-და-მაინც აქ ცოდვის დასახელება არ არის საჭირო.

ბ. ფურცელაძე ამბობს განიხილარა კრებამ, რომ ეს ცოდნა მთელს საქართველოს ხალხში იყო გავრცელებული...

მოდი და ნუ შეძრწუნდები.

მოვინდომე ნამდვილის გადათვალიერება, ჩავიგდე ხელში და ამოვიკითხე:

„მერმეცა ღვთის მოძაგებულისა
„მის და ღვთისაგან მამწარებელისა
„ცოდვათა შეეთვისა იგი, უბადრუკსა
„ამას ნათესავსა, და სრულიად განა-
„შორნა და უცხო ყვნა ღვთისაგან
„ვიეთთიცა პოვა თავისა მისადრეკილი.“

ეს ახალის ენით გამოთქმული ასე იქნება: არ ვიცით საიდამ შემოგვეპარა ჩვენ ეს ცოდვა და სრულიად განაშორნა ღმერთს იგინი, ვინც კი ამ ცოდვას მისდევდენ.

ბ. ფურცელაძეს ჰგონებია სიტყვა „სრულიად“ „შეეთვისა“-ს ეკუთვნის და არა „განაშორა“-სა.

წარმოვიდგინოთ ჩემო მკითხველო, რომ ჩინეთის კანონები ჩაგვივარდა ხელში; იქა სწერია, რომ ქურდობა შეეთვისა ჩვენს ხალხსა და სასტიკი ზომა უნდა მივიღოთ მის მოსასპობელათაო.

ბ. ფურცელაძის აზრით მთელი ჩინეთის ხალხი ქურდი უნდა იყოს.

მომილოცავს საქართველო ამისთანა ისტორიკოსი გამოგიჩნდა!

სწორეთ მყრალს მელანში ამოვლებული უნდა ჰქონდეს კაცს კალამი, რომ ამისთანა საგანზედ საჯაროთ ილაპარაკოს და ისიც სიცრუით.

მაგრამ რა ჩვენი საქმეა ამ კილოთი ლაპარაკი; ისა სჯობს ჩვენის თეატრის დასისთვის საზაფხულოთ სცენა დავწეროთ.

(სცენაზედ სდგას მარტო ძველი გადაყენებული ჩინოვნიკი, თავ-ჩაკიდებული, წელში მოხრილი, მწუხარეს სახით.)

**ჩინოვნიკი.**

ღმერთო ძლიერო, რა შეგცოდე მე საიმისო
რომ სიბერის დროს გამიმწარე ცხოვრება ტკბილი;
როს წელთ სიმრავლემ განხრწნილებით დაღი დამასო,
მაშინ დაავდე უპატრონოთ ჩემი ცოლ-შვილი!
ორმოც-და-ათს წელს ვემსახურე ხალხს, ხემწიფესა,
ყოველს საღამოს მიფრთხობდენ მე უეცრათ ძილსა;
კარგს გვაშორეო, ავი მოგვეც, მიბძანეს ესა,
და მეც ვცდილობდი, ვაშორებდი მარგალიტს, მძივსა.
ორმოც-და-ათს წელს ვემსახურე, არ დამინახეს;
მითხრეს, კარგს ავში ვეღარ არჩევ, აღარ გვინდიხარ;
სამსახურიდამ უმოწყალოდ მე დამითხოვეს,
ღმერთო პატრონი მწყალობელი, მხოლოდ შენ მყევხარ.

(იატაკი გაიპობა; ამოვა გამურული მეფისტოფელი; ცალს ხელში ეშმაკის კვერთხი უჭირავს; მეორე იღლიაში ლურჯი ქაღალდების გროვა.)

**მეფ.** თუ მოინდომებ, სხვა პატრონიც გამოგიჩნდება!

**ჩინ.** ვინა ხარ შენა, სით მოსულხარ, ჩემგან რა გინდა?

**მეფ.** ჩემი სახელი, ერთი მითხარ, რათ გეკითხება?
მაგრამ თუ გინდა, ვთქვა: სული ვარ მე არა-წმინდა.
მე მაბრალებენ, ვითომც მხოლოთ ცუდსა, ავს ვთესავ;
ვითომც მე გული არავისთვის არ შემტკივოდეს;
მაგრამ ნუ გჯერა: როდესაცა შენებრ კაცს ვხედავ,
საწყალს ჩინოვნიკს,—ლამის გული ცოდვით დამიდნეს,
აი ეხლაცა მოვედი შენს შესაწევნათა,
ვსცან რა უწყალო, ულმობელი იღბალი შენი;
თუ მოინდომებ, უეცრათა გაგხდი მწერლათა
და მტერის უმრავლეს გაგიმრავლდენ პატივისმცემნი.
მაგრამ შემდეგსა პირობას კი არ გადახვიდე:
არამც და არამც უარ-ყოფდე ჩემს ბრძანებასა:
რომელს კერპსაც კი მსახურებდი, მას შემუსვრიდე
რომელს სდევნიდი, გაუწევდე თაყვანცემასა!

(ჩინოვნიკი თავს დაიქნევს; მეფ. ლურჯს ქაღალდებს იატაკზედ დააწყობს და კვერთხს დაჰკრავს, ავარდება საშინელი მტვერი; რამდენსამე წუთს სცენაზედ არაფერი სჩანს; მტვერი გადიყრება; სცენაზედა სდგას გადახალისებული ძველი ჩინოვნიკი: ცალს ხელში უჭირავს „ობზორის“ ნომრები; მეორეს ხელში საეკკლესიო გუჯრების გროვა; მხიარულათ იცინის; ხან „ობზორს“ უცქერის, ხან გუჯრებს. მეფისტოფელი აღარსადა სჩანს.)

**ჩინოვნიკი.**

ძლივს სიბერის დროს ჩემი ნიჭი მე განვიცადე;
ეხლა გადავცემ ჩემსა სახელს შთამომავლობას;
აბა რა ვიყავ აქამდისინ, რა ვიმოქმედე?
ოჰ, არა წმინდა, ავო სულო, გიძღვნი მადლობას!
ორმოც-და-ათს წელს სხვის ნაწერი ვშალე და ვშალე;
სხვა სიბერემდის არაფერი მიკეთებია;
და სიბერის დროს, როცა ჭკუა გამომალალე,
მაშინ მივხვდი, რომ თურმე წერა მეც შემძლებია!

